საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 2 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №226/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- -- -- და სხვათა 2018 წლის 12 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის №-- დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 02 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორების შეფასებით, მოსამართლე -- -- წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის ადვოკატი მიზანმიმართულად აჭიანურებს საქმის განხილვის პროცესს. ამასთან, მოსამართლე -- -- სასამართლო სხდომებს ნიშნავს დიდი ინტერვალებით და აჭიანურებს საქმის განხილვას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ -- -- სასამართლოს 2014 წლის 05 ნოემბრის განჩინებით, სისხლის სამართლის საქმეზე №-- ბრალდებულ -- -- აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო.

2015 წლის 04 მარტს, ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმე (№--) ბრალდებულ -- -- მიმართ, არსებითად განსახილველად გადაეცა -- -- სასამართლოს მოსამართლეს -- --.

სისხლის სამართლის საქმის განხილვის წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის დაწყების თარიღად განისაზღვრა 2015 წლის 16 მარტი.

2015 წლის 16 მარტის სასამართლო სხდომაზე, სასამართლომ მოისმინა მხარეთა შესავალი სიტყვები და ამავე სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხნენ -- -- და -- --. მომდევნო სასამართლო სხდომა ჩაინიშნა 2015 წლის 22 ივნისს.

2015 წლის 22 ივნისს ჩანიშნული სასამართლო სხდომა გადაიდო ბრალდებულის გამოუცხადებლობის გამო. მომდევნო სასამართლო სხდომა ჩაინიშნა 2016 წლის 10 მაისს, 14:00 საათზე, რის შესახებაც წერილობით ეცნობა ბრალდებულს და ასევე განემარტა საქართველოს სსსკ-ით დადგენილი წესები და

ის შესაძლო შედეგები, რომელიც დაკავშირებულია ბრალდებულის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობასთან.

2016 წლის 10 მაისის სასამართლო სხდომაზე, პროკურორმა -- -- შუმადგომლობით მიმართა სასამართლოს და ითხოვა საქმის გონივრული ვადით გადადება, ვინაიდან ახალი ჩართული იყო საქმის განხილვაში და ესაჭიროებოდა საქმის მასალების შესწავლა. მომდევნო სასამართლო სხდომა ჩაინიშნა 2016 წლის 09 ივნისს, 16:00 საათზე.

2016 წლის 09 ივნისის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა ერთი მოწმე -- --. სხდომის დასრულებისას, მოსამართლემ საქმეზე წარმოდგენილ პროკურორს მოუწოდა, რომ სასამართლო პროცესებზე წარმოედგინა რაც შეიძლება მეტი მოწმე. მოსამართლე -- -- მომდევნო სასამართლო სხდომა ჩანიშნა 2016 წლის 29 ივნისს, 16:30 საათზე.

2016 წლის 29 ივნისის სასამართლო სხდომაზე, პროკურორმა -- -- შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და ითხოვა საქმის გონივრული ვადით გადადება, ვინაიდან საქმეზე გამომსვლელი პროკურორი იმყოფებოდა სხვა პროცესზე. მომდევნო სასამართლო სხდომა ჩაინიშნა 2016 წლის 25 ივლისს, 15:00 საათზე.

2016 წლის 25 ივლისს სასამართლო სხდომაზე, მოწმის სახით დაიკითხნენ -- -- და -- --. ამავე სასამართლო სხდომაზე, სხდომის თარიღის განსაზღვრისას, პროკურორმა სასამართლოს განუცხადა, რომ 01 აგვისტოდან აქვს შვებულება, ხოლო 15 აგვისტოდან თვის ბოლოდე ჩანიშნული აქვს საპატიმრო საქმეები და შესაბამისად აგვისტოს განმავლობაში ვერ შეძლებდა პროცესზე გამოცხადებას. სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია და მომდევნო სასამართლო სხდომა ჩანიშნა 2016 წლის 23 სექტემბერს, 16:00 საათზე. ამასთან, კიდევ მოუწოდა პროკურორს, რომ მომდევნო სხდომაზე წარმოედგინა რაც შეიძლება მეტი მოწმე.

2016 წლის 23 სექტემბრის სასამართლო სხდომა, სხვა პროცესის გაგრძელების გამო, გადაიდო 2016 წლის 11 ნოემბერს, 17:00 საათზე. 2016 წლის 11 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე, მოწმის სახით დაიკითხნენ -- -- და -- --. მომდევნო სასამართლო სხდომა ჩაინიშნა 2016 წლის 24 ნოემბერს, 16:00 საათზე.

2016 წლის 24 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხნენ -- -- და -- --. შემდეგი სასამართლო სხდომის თარიღად განისაზღვრა 2016 წლის 08 დეკემბერი.

2016 წლის 07 დეკემბერს, საქმის პროკურორმა -- -- წერილობით მიმართა სასამართლოს და აცნობა, რომ იგი 21 დეკემბრის ჩათვლით იმყოფებოდა შვებულებაში ვერ გამოცხადდებოდა 2016 წლის 08 დეკემბრის სასამართლო პროცესზე. 2016 წლის 08 დეკემბრის პროცესი, პროკურორის გამოუცხადებლობის გამო, გადაიდო 2017 წლის 04 იანვარს, 17:00 საათზე.

აღნიშნულის შემდეგ, სასამართლო პროცესები მიმდინარეობა გაგრძელდა შემდეგი ინტერვალებით:

- 2017 წლის 04 იანვარი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 06 (ექვსი) პირი.
- 2017 წლის 30 იანვარი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 09 (ცხრა) პირი.
- 2017 წლის 10 თებერვალი -სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 05 (ხუთი) პირი.
- 2017 წლის 01 მარტი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 11 (თერთმეტი) პირი.
- 2017 წლის 10 მარტი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 08 (თერთმეტი) პირი.
- 2017 წლის 22 მარტი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 08 (თერთმეტი) პირი.
- 2017 წლის 29 მარტი - ბრალდებულის ადვოკატის -- -- შუამდგომლობის საფუძველზე, ვინაიდაინ იგი ახალი ჩართული იყო საქმის განხილვაში და ესაჭიროებოდა საქმის მასალების შესწავლა, სასამართლო სხდომა გადაიდო და ჩაინიშნა 2017 წლის 20 აპრილს, 10:00 საათზე.
- 2017 წლის 20 აპრილი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 07 (შვიდი) პირი.
- 2017 წლის 28 აპრილი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 04 (ოთხი) პირი.

- 2017 წლის 15 მაისი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 01 (ერთი) პირი.
- 2017 წლის 19 ივნისი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 01 (ერთი) პირი.
- 2017 წლის 26 ივნისი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 02 (ორი) პირი.
- 2017 წლის 03 ივლისი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 02 (ორი) პირი.
- 2017 წლის 18 ივლისი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 01 (ერთი) პირი.
- 2017 წლის 20 ივლისი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 01 (ერთი) პირი.
- 2017 წლის 22 აგვისტო - განხორციელდა წერილობითი მტკიცებულებათა გამოკვლევა.
- 2017 წლის 24 აგვისტო - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 03 (სამი) პირი.
- 2017 წლის 25 აგვისტო - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 02 (სამი) პირი.
- 2017 წლის 10 ოქტომბერი - განხორციელდა წერილობით მტკიცებულებათა გამოკვლევა.
- 2017 წლის 20 ოქტომბერი - განხორციელდა წერილობით მტკიცებულებათა გამოკვლევა.
- 2017 წლის 01 ნოემბერი - განხორციელდა წერილობით მტკიცებულებათა გამოკვლევა.
- 2017 წლის 13 ნოემბერი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 04 (ოთხი) პირი.
- 2017 წლის 17 ნოემბერი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 03 (სამი) პირი.
- 2017 წლის 27 ნოემბერი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 03 (სამი) პირი.
- 2017 წლის 07 დეკემბერი - დარბაზის უქონლობის გამო სასამართლო სხდომა გადაიდო.
- 2018 წლის 15 თებერვალი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 05 (ხუთი) პირი.
- 2018 წლის 12 მარტი - სასამართლო სხდომა გადაიდო ადვოკატის -- -- პროცესზე გამოუცხადებლობის გამო. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ადვოკატს ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემა, რის შესახებაც სასამართლოს წარუდგინა შესაბამისი სამედიცინო ცნობა.
- 2018 წლის 02 აპრილი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 06 (ექვსი) პირი.
- 2018 წლის 30 აპრილი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 07 (შვიდი) პირი.
- 2018 წლის 07 მაისი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 08 (რვა) პირი.
- 2018 წლის 15 მაისი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 12 (თორმეტი) პირი.
- 2018 წლის 24 მაისი - სასამართლო პროცესი გადაიდო ბრალდებულის გამოუცხადებლობის გამო. ადვოკატმა -- -- სასამართლოს განუცხადა, რომ ბრალდებულს აქვს ჯანმრთელობის პრობლემა და აღნიშნულის შესახებ სასამართლოს წარმოუდგინა შესაბამისი სამედიცინო ცნობა.
- 2018 წლის 29 ივნისი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 14 (თოთხმეტი) პირი.
- 2018 წლის 10 ივლისი - სასამართლო პროცესი გადაიდო ადვოკატ -- -- შუმადგომლობის საფუძველზე და ითხოვა გონივრული დრო საქმის მასალების გასაცნობად. ადვოკატის განცახედბით, ადვოკატმა -- -- მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, შეწყვიტა ხელშეკურლება -- -- და იგი ვეღარ შეძლებს მისი ინტერესების დაცვას.
- 2018 წლის 24 ივლისი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 05 (ხუთი) პირი.
- 2018 წლის 30 ივლისი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 12 (თორმეტი) პირი.
- 2018 წლის 06 აგვისტო - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 09 (ცხრა) პირი.
- 2018 წლის 14 აგვისტო - სასამართლო სხდომა გადაიდო ადვოკატის -- -- გამოუცხადებლობის გამო. ამავე სასამართლო სხდომაზე, მოსამართლემ -- -- ადვოკატი დაუნიშნა სახელმწიფოს ხარჯზე.
- 2018 წლის 21 აგვისტო - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 04 (ოთხი) პირი.
- 2018 წლის 14 სექტემბერი - სასამართლო პროცესზე განხორციელდა წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევა და ნივთიერი მტკიცებულებების უდავოდ ცნობა.
- 2018 წლის 04 ოქტომბერი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 01 (ერთი) პირი.
- 2018 წლის 08 ოქტომბერი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 02 (ორი) პირი.
- 2018 წლის 11 ოქტომბერი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 01 (ერთი) პირი.
- 2018 წლის 17 ოქტომბერი - სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა 02 (ორი) პირი.

2018 წლის 07 ნოემბერი - სასამართლო სხდომა გადაიდო ბრალდებულის გამოუცხადებლობის გამო. საქმეში წარმოდგენილია სამედიცინო ცნობა -- -- ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომლის თანახმად, ბრალდებული პაციენტი სასამართლო სხდომის მომენტისთვის გადიოდა მკურნალობას ქირურგიულ განყოფილებაში.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- და სხვათა 2018 წლის 12 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვლისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. ამავე ქვეპუნქტის თანახმად, საპროცესო ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის შინაარსიდან და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა შეფასდეს გვაქვს თუ არა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

საქმის გონივრულ ვადაში განხილვის კუთხით, მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს და მასთან დაკავშირებულ პრაქტიკას.

კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში აღიარებულია, გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის უფლება. დანაწესი მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ბრალდებულ პირებს არ მოუწიოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბრალდებულის სტატუსში ყოფნა და ბრალეულობის საკითხზე გადაწყვეტილება დროულად იქნას მიღებული (*Wemhoff v Germany*, §18; *Kart v. Turkey*[GC], §68). ამდენად, გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის უფლება უპირველესყოვლისა უზრუნველყოფილია ბრალდებულის ინტერესებიდან გამომდინარე.

საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების შესაძლო ჩადენაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ

კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany, §98).

განსახილველ შემთხვევაში საჩივრის ავტორები მიუთითებენ, რომ მოსამართლემ ხელოვნურად აჭიანურებს საქმის არსებითი განხილვას, ბრალდებულ -- -- მიმართ. აღნიშნულთან მიმართებაში, საქმის სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად, საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია შეფასდეს თუ რამდენად დაცულია საქმის არსებითი განხილვისთვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, „პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითად განხილვისათვის გადაცემის შესახებ გდაგაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა.“

ამავე კოდექსის 333-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს ამ კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის ამოქმედების მომენტისათვის სასამართლოში განსახილველად არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენი გამოაქვს იმავე ნაწილის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 36 თვისა, ხოლო ამავე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილები ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულ -- -- მიმართ, მოსამართლე -- -- არსებითად განსახილველად გადეცა 2015 წლის 04 მარტს. შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვის პერიოდთან მიმართებაში, ვრცელდება კანონით დადგენილი 36 (ოცდათექვსმეტი) თვიანი ვადა. ამდენად, დასკვნის მომზადების ეტაპისთვის საქმის განხილვა მიმდინარეობდა კანონით დადგენილ ვადაში.

ამასთან, მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია შეფასდეს სისხლის სამართლის საქმის სირთულე და მოსამართლის მიერ განხორციელებულ ქმედებათა თანმიმდევრულობა.

კერძოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულ -- -- მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმე წარმოადგენს რთული კატეგორიის საქმეს (საქმე არის მრავლტომიანი და დასაკითხია 100-ზე მეტი მოწმე). აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 04 მარტიდან საჩივრის შესწავლის პერიოდამდე არსებული მდგომარეობით, მოსამართლე -- -- მოცემული სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის მიზნით ჩანიშნა 50-ზე მეტი სასამართლო სხდომა და მოწმის სახით დაიკითხა 170-ზე მეტი პირი.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მივიდა დასკვნამდე, რომ მოსამართლე -- -- ქმედება არ შეიცავს დისციპლინური გადაცომის ნიშნებს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

ამავე ორგანული კანონის 75^8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წინასწარი შემოწმების შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აფასებს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობას და წინასწარი შემოწმებისათვის ამ კანონის 75^7 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. ამ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ეყრდნობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დისციპლინურ საქმეს დაერთვება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოებებისა შეფასების საფუძველზე, დადასტურებულად არ მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. 2020 წლის 02 ოქტომბერს სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 წევრმა ხმა მისცა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას. შესაბამისად, ვინაიდან მოსამართლე -- -- მიმართ სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით არ იქნა მიღებულა გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე, მოსამართლის მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^8 მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №-- მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი